აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების კომისიის სხდომის

ოქმი №10

ქ.ბათუმი 22.09.2014 წ.

სხდომას უძღვებოდა პრიორიტეტების კომისიის თავმჯდომარე - რამაზ ბოლქვაძე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე).

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები:

იოსებ აბულაძე	-	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;
ლევან გორგილაძე	-	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;
ვალერი ბერაძე	-	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;
გიორგი რომანაძე	-	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
კომისიის მდივანი	-	ცირა აბულაძე.

მოწვეული სტუმრები:

ვახტანგ ბაგრატიონი	-	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის მოადგილე;
რაულ აბულაძე	-	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - „რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა", ,,ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობა", ,,სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა" ,,ბათუმის ბულვარის" პროგრამა, ააიპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის" პროგრამა „დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა" და სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის" პროგრამა „საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა" სსიპ ,,საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს" პროგრამა ,,ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგები სიტუაციების რეგულირება და პრევენცია" ცვლილებების შეტანის შესახებ - მომხსენებელი რამაზ ბოლქვაძე.

2. ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამაში - „რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაცია" ცვლილებების შეტანის შესახებ - მომხსენებელი რაულ აბულაძე;

3. ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - ,,გარემოსდაცვითი პროგრამა" და „სატყეო სექტორის განვითარება" ცვლილებების შეტანის შესახებ - მომხსენებელი ვახტანგ ბაგრატიონი;

4. ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამაში - „საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" ცვლილებების შეტანის შესახებ - მომხსენებელი გიორგი რომანაძე;

5. ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - ,,სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა", ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა", ,,სოციალური დაცვა" და ,,შრომის ბაზრის კვლევა" ცვლილებების შეტანის შესახებ - მომხსენებელი რომან ბოლქვაძე.

6. ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა", ,,განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა", ,,განათლების ხარისხის გაუმჯობესება",,,საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა", ,,კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია", სსიპ ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს" პროგრამა ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და

პოპულარიზაცია", სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის პროგრამა -,,სპორტის ხელშეწყობა" და ,,ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობა" ცვლილებების შეტანის შესახებ - მომხსენებელი ვალერი ბერაძე.

7. ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამაში - ,,ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა" ცვლილების შეტანის შესახებ - მომხსენებელი იოსებ აბულაძე.

მოისმინეს:

სხდომის საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა მოისმინეს:

1. კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შესახებ. კერძოდ, რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლი განისაზღვრა 167 240,2 ათასი ლარით. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები 2014 წლის დამტკიცებულ საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 11 596,7 ათასი ლარით შემოსავლების ზრდა შემდეგნაირად გადანაწილდა:

საშემოსავლო გადასახადი იზრდება 8 000,0 ათასი ლარის ოდენობით. ზრდის საფუძველია ფაქტიური შესრულება.

სხვა შემოსავლები იზრდება 3 596,7 ათასი ლარის ოდენობით. სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებლი განისაზღვრა 8 963,7 ათასი ლარის ოდენობით.

დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები 2 600,0 ათასი ლარი; სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასური 61,0 ათასი ლარი; სალიცენზიო მოსაკრებელი 16,2 ათასი ლარი; შემოსავლები მომსახურებიდან 55,0 ათასი ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 864,5 ათასი ლარი; ზრდის საფუძველია აღნიშნულ სახეებში ფაქტიური და მოსალოდნელი შესრულება.

სხვა შემოსავლები მცირდება 10,0 ათასი ლარის ოდენობით. ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები 10,0 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების ცვლილება (თავისუფალი ნაშთი) განისაზღვრა 21 542,0 ათასი ლარით.

ფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი შემცირდა 10 201,4 ათასი ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები მცირდება 6 879,5 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია სატენდერო წინადადებებით მიღებული ეკონომიით, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებში გადანაცვლებით, აგრეთვე სხვადასხვა სამუშაოების 2015 წელს გადატანის გამო (გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე) და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, თუმცა დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით რესპუბლიკური ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლი იზრდება 8 264,8 ათასი ლარით (სხვაობა 1 385,3 ათასი ლარი) და შეადგენს 167 240,2 ათას ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ქვეპროგრამა „აჭარის სანაპირო ზოლის ადლიის ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობა“ შტორმის შედეგად წარეცხილი უბნებისათვის დამატებითი სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად იზრდება 335,2 ათასი ლარით.

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს სეზონურად ტყის უკეთ დაცვის მიზნით, მეორეხარისხოვანი გზების გაყვანის ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოებისათვის, ადმინისტრაციული შენობის რემონტისა და კომპიუტერული ტექნიკის შეძენის მიზნით დამატებით გამოეყო 445,1 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს ახალ ტურისტულ გამოფენებსა და კომფერენციებში მონაწილეობის მიზნითა და დეპარტამენტის ვაკანტურ ადგილებზე კონკურსის ჩატარების მიზნით დამატებით გამოეყო 26,0 ათასი ლარი;

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტს ერთი ერთეული მტვირთავ-ექსკავატორის, ერთი ცალი ვიბროჩაქუჩის შეძენისა და 2015 წლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენის მიზნით დამატებით გამოეყო 343,8 ათასი ლარი;

სსიპ სავაჭრო-სამრეწველო პალატას კომპიუტერული ტექნიკისა და ავეჯის შეძენის მიზნით დამატებით გამოეყო 10,0 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობის და ბათუმის სტადიონის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენის მიზნით დამატებით გამოეყო 750,0 ათასი ლარი;

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიას ორი საშტატო ერთეულის დამატების მიზნით დამატებით გამოეყო 5,9 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთი ერთეული მაღალი გამავლობის ავტომანქანის შეძენის მიზნით დამატებით გამოეყო 46,4 ათასი ლარი;

ხელვაჩაურის რესურსცენტრს ერთი ერთეული ავტომანქანის შეძენის მიზნით დამატებით გამოეყო 26,6 ათასი ლარი;

შუახევის რესურსცენტს პრინტერისა და კონდენციონერის შეძენის მიზნით დამატებით გამოეყო 1,2 ათასი ლარი;

ქვეპროგრამა „სპორტის განვითარების ხელშეწყობა სკოლებში“ 2015 წელს განსახორციელებელი საჯარო სკოლების სპორტული დარბაზების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით დამატებით გამოეყო 13,0 ათასი ლარი;

ა(ა)იპ - აჭარის განათლების ფონდს კადრების მომზადება-გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირებისათვის დამატებით გამოეყო 104,1 ათასი ლარი;

სსიპ „სოფელ სალიბაურის #2 საჯარო სკოლის“ საპანსიონო სუბსიდიის ფარგლებში გაზქურის შეძენის მიზნით დამატებით გამოიყო 5,5 ათასი ლარი;

სსიპ „ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლის“ საპანსიონო სუბსიდიის ფარგლებში 5 საშტატო ერთეულის მატების მიზნით დამატებით გამოიყო 8,3 ათასი ლარი;

სსიპ „დაბა შუახევის საჯარო სკოლის“ საპანსიონო სუბსიდიის ფარგლებში 2 საშტატო ერთეულის მატების მიზნით დამატებით გამოიყო 4,3 ათასი ლარი;

ა(ა)იპ „აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა“ ერთი საშტატო ერთეულის დამატების მიზნით დამატებით გამოეყო 1,1 ათასი ლარი;

სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს“ მიმდინარე ხარჯებისათვის დამატებით გამოეყო 52,9 ათასი ლარი;

სსიპ - „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრს“ შრომის ანაზღაურების ფონდის შევსების მიზნით დამატებით გამოეყო 1,7 ათასი ლარი;

სსიპ - „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს“ აუდიოვიზუალური, ვიდეო გამოსახულების ჩამწერი და აღწარმოების აპარატურის შეძენის მიზნით დამატებით გამოეყო 74,0 ათასი ლარი;

სსიპ - „აჭარის სახელმწიფო ვოკალურ ანსამბლ ბათუმს“ კომპაქტური დისკების შეძენის მიზნით დამატებით გამოეყო 17,3 ათასი ლარი;

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს შტატგარეშე მოსამსახურის (ბუღალტრის წლის ბოლომდე შრომის ანაზღაურება) ანაზღაურების მიზნით დამატებით გამოეყო 1,1 ათასი ლარი;

ქვეპროგრამა სპორტული ღონისძიებების ფარგლებში ჭადრაკის ფედერაციას ჭადრაკში ევროპის ჩემპიონატის თანადაფინსების, ჩოგბურთის ფედერაციას ბათუმი ლედი ოუფენ საერთაშორისო ტურნირის საორგანიზაციო ხარჯების, ფეხბურთის ფედერაციას საერთაშორისო ტურნირზე ბარსელონაში აჭარის ჭაბუკთა ნაკრების მონაწილეობისა და როსტომ აბაშიძის წიგნის გამოცემის მიზნით დამატებით გამოიყო 78,0 ათასი ლარი;

ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობის ქვეპროგრამაში ერთჯერადი თავისუფალი პროექტებისა და უცხოეთში სხვადასხვა ტრენინგ-სემინარების ღონისძიებების დაფინანსების მიზნით დამატებით გამოიყო 20,0 ათასი ლარით;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

ქვეპროგრამა „ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა" მოსახლეობის მაღალი მომართვიანობის გამო დამატებით გამოეყო 250,0 ათასი ლარი;

ქვეპროგრამა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებით - სავარძელ-ეტლით უზრუნველყოფა " მოსახლეობის მაღალი მომართვიანობის გამო დამატებით გამოეყო 21,0 ათასი ლარი;

ქვეპროგრამა „2008 წლის რუსული აგრესიისა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულთა ოჯახების დახმარება" ქვეპროგრამაში ერთი ბენეფიციარის ჩართვის გამო დამატებით გამოეყო 2,0 ათასი ლარი;

ქვეპროგრამა „ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია" მოსახლეობის მაღალი მომართვიანობის გამო დამატებით გამოეყო 70,0 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების სამინისტროს აპარატში დაქვემდებარების გამო, 27 საშტატო ერთეულის დარჩენილ პერიოდში შრომის ანაზღაურებისა და სამინისტროს სხვადასხვა ხარჯების გაწევის მიზნით დამატებით გამოეყო 134,6 ათასი ლარი;

ა(ა)იპ „აგრესერვისცენტრს" 5 საშტატო (4 დარაჯი 1 დირექტორის მოადგილე) ერთეულის ზრდის, ციტრუსის სანერგე მეურნეობაში არსებული სათბურის შიდა ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის ანგარის დემონტაჟ-მონტაჟისათვის დამატებით გამოეყო 160,2 ათასი ლარი;

სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრს" სახელფასო ფონდის შევსების მიზნით დამატებით გამოეყო 7,2 ათასი ლარი;

სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის საზღვაო აკადემიას" ლაბორატორიისათვის ავეჯის, სასწავლო ინვენტარის და აღჭურვილობის შესაძენად ასევე ყოფილი კლუბის შენობის სახურავის და მისი საბჯენების შესაცვლელად დამატებით გამოეყო 500,0 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდის შევსების მიზნით დამატებით გამოიყო 600,0 ათასი ლარი;

აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესებისა და გაფართოების პროგრამის ფარგლებში გასაწევი ხარჯების ანაზღაურების მიზნით (საწესდებო კაპიტალის შევსება) შ.პ.ს. „ჰიგიენა 2009"-ს დამატებით გამოიყო 600,0 ათასი ლარი;

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარების ზრდის მაჩვენებლი განისაზღვრა 3 548,2 ათასი ლარი, რაც ძირითადად მოხმარდება ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, მათ შორის:

თვითმმართველი ქალაქი ბათუმი 1 725,0 ათასი ლარი;

ქობულეთის მუნიციპალიტეტი 1 823,2 ათასი ლარი;

2. მოწვეული სტუმრის - რაულ აბულაძის მოხსენება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ (იხილეთ მომხსენებლის რაულ აბულაძის განმარტებითი ბარათი - **დანართი #1**)

3. მოწვეული სტუმრის - ვახტანგ ბაგრატიონის მოხსენება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და მის სისტემაში შემავალი ააიპ „სატყეო სააგენტოს" პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ (იხილეთ მომხსენებლის ვახტანგ ბაგრატიონის განმარტებითი ბარათი - **დანართი #2**)

4. კომისიის წევრის - გიორგი რომანაძის მოხსენება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ (იხილეთ მომხსენებლის გიორგი რომანაძის განმარტებითი ბარათი - **დანართი #3**)

5. კომისიის წევრის - ლევან გორგილაძის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი სსიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა" და სსიპ „დასაქმების სააგენტოს" პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ (იხილეთ მომხსენებლის ლევან გორგილაძის განმარტებითი ბარათი - **დანართი #4**)

6. კომისიის წევრის - ვალერი ბერაძის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი სსიპ ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს" და ,,სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის" პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ - (იხილეთ მომხსენებლის ვალერი ბერაძის განმარტებითი ბარათი - **დანართი #5**)

7. კომისიის წევრის იოსებ აბულაძის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამაში - ცვლილების შეტანის შესახებ - (იხილეთ მომხსენებლის იოსებ აბულაძის განმარტებითი ბარათი - **დანართი #6**)

აზრი გამოთქვეს და დასვეს შეკითხვები:

რამაზ ბოლქვაძემ დასვა შეკითხვა, ,,გარემოსდაცვითი" პროგრამის ქვეპროგრამაში „აჭარის სანაპირო ზოლის ადლიის ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა" ექსპერტიზის ხარჯები არ არის გათვალისწინებული და უნდა იყოს თუ არა ქვეპროგრამაში?

გარდა ამისა კომისიის წევრებმა და დაინტერესებულმა პირებმა დასვეს შეკითხვები:

ბათუმის სტადიონისა და რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენაზე. სად შეიძლება აშენდეს სტადიონი და რამდენ მაყურებელზე იქნება გათვლილი? საუბარი იყო რეგიონში განვითარებულ სტიქიურ მოვლენებზე და გაეწევათ თუ არა დახმარება სტიიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს?

გამოთქმულზე გაკეთდა განმარტებები:

მოწვეულმა სტუმარმა ვახტანგ ბაგრატიონმა განმარტა, რომ სამუშაოების დასრულების შემდეგ მოხდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დასკვნის გაკეთება.

კომიის თავჯდომარემ განმარტა, რომ სტიქიის შედეგადად დაზარალებული ოჯახებს დახმარება გაეწევათ სარეზერვო ფონდიდან რისთვისაც ბიუჯეტის ცვლილებების დროს სარეზერვო ფონდის თანხა გაიზარდა. ხოლო რაც შეეხება ბათუმში სტადიონის მშენებლობას 2014 წლისათვის იქნება შეძენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და 2015 წლისათვის იგეგმება მშენებლობის დაწყება.

კომისიამ დაადგინა:

1. მოწონებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - „რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა", ,,ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობა", ,,სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა" ,,ბათუმის ბულვარის" პროგრამა, ააიპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის" პროგრამა „დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა", სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის" პროგრამა „საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა" და სსიპ ,,საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს" პროგრამა ,,ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგები სიტუაციების რეგულირება და პრევენცია" - ცვლილებები.

2. მოწონებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამაში - „რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაცია" ცვლილებები.

3. მოწონებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - ,,გარემოსდაცვითი პროგრამა" და „სატყეო სექტორის განვითარება" ცვლილებები.

4. მოწონებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამაში - „საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" ცვლილებები.

5. მოწონებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - ,,სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა", ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა", ,,სოციალური დაცვა" და ,,შრომის ბაზრის კვლევა" ცვლილებები.

6. მოწონებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა", ,,განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა", ,,განათლების ხარისხის გაუმჯობესება", ,,საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა", ,,კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია", სსიპ ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს" პროგრამა ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია", სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის პროგრამა - ,,სპორტის ხელშეწყობა" და ,,ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობა" ცვლილებები.

7. მოწონებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამაში - ,,ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა" ცვლილებები.

კომისიის წევრები:

იოსებ აბულაძე

ლევან გორგილაძე

ვალერი ბერაძე

გიორგი რომანაძე

მოწვეული სტუმრები

ვახტანგ ბაგრატიონი

რაულ აბულაძე

კომისიის თავმჯდომარე

რამაზ ბოლქვაძე

კომისიის მდივანი

ცირა აბულაძე